გამოქვეყნდა: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
ვებგვერდი, 08/11/2013

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის

ბრძანება №1113/07-1

2013 წლის 7 ნოემბერი

„ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების დანართებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №32, ნაწილი IV, 02.11.06) №2 დანართს, სადაც მოცემულია იმ ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან ორგანიზაცია ალ-ქაიდაში ან დაკავშირებულნი არიან მასთან, დაემატოს ამ ბრძანების დანართში მოცემული მონაცემები.

2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მ. როინიშვილი

დანართი

ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან ორგანიზაცია ალ–ქაიდაში ან დაკავშირებულნი არიან მასთან

№	პირადი ინფორმაცია (სახელი(ები), დაბ. თარიღი და ადგილი, ეროვნება/მოქალაქეობა)	ფსევდონიმი(ები), ზედმეტი სახელი(ები)	პასპორტის მონაცემები, პირადი ნომერი	მისამართი(ები), შესაძლო ადგილსამყოფელი	სიაში შეყვანის თარიღი	სხვა ინფორმაცია
1	2	3	4	5	6	7
308	***სახელები:*** 1.მოჰამედი (MOHAMED) 2. ლაჰბოუსი (LAHBOUS) 3. 4. ***დაბ. თარიღი:*** 1978 ***დაბ. ადგილი***: მალი (Mali) ***ეროვნება/მოქალაქეობა:*** მალის მოქალაქე (Malian)	ა) მოჰამედ ენნოუინი (Mohamed Ennouini) ბ) ჰასანი (Hassan) გ) ჰოსინი (Hocine)	***პასპორტის მონაცემები:*** ***პირადი ნომერი:***	მალი (Mali)	**24.10.13**	წევრი – Mouvement pour l'Unification et le Jihad en Afrique de l'Ouest-ის (MUJAO).